სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180428843
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.04.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ბოჭორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მეორე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	322307013 599220171
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60978740572918

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თვრამეტი წლის ოც აპრილს, მე, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი №9, მე-2 სართული, მომმართა ალექსანდრე ნინუამ მან მოითხოვა თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე ნინუამ (დაბ.16.04.1963წ თბილისი, პ/#01024036053, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, დები იშხნელების ქუჩა, N 2, ბინა 22) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ალექსანდრე ნინუა (დაბ.16.04.1963წ თბილისი, პ/#01024036053) თანახმა ვარ, რომ სოფიო ჭელიძემ (დაბ.17.04.1986წ თბილისი, პ/#01017023399) მოახდინოს უკვე არსებული პროექტის (განცხადების ნომერი AR1589354) კორექტირება და აგრეთვე მოახდინოს ნებისმიერი პროექტის კორექტირება და შეთანხმება მერიის სამსახურში.

მე ალექსანდრე ნინუა ვაცხადებ, რომ არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია და არც მომავალში მექნება.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №507), მუხლი 31.3/14 - 3.00 (სამი) ლარი, დღგ - 0.54 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის I ნაწილის "ა" პუნქრისა, ერთი ეგზემპლიარისათვის + 39.1 მუხლის შესაბამისად - 2.00 ლარი.

ნოტარიუსი: /ქეთევან ბოჭორიშვილი/

საქართველო
სანოტარო აქტი
სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობა

ორიათას თერამეტი წლის ოცდაექვსი მარტს, მე, ნოტარიუსს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი ნაძალადევის რაიონი N9, II სართული, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გავეცი წინამდებარე მოწმობა, რომლითაც ვადასტურებ, რომ:

ორიათას თერამეტი წლის ოცდაექვსი მარტს, ალექსანდრე ნინუამ (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი იშხნელების ქუჩა, N 2, ბინა 22) ჩემს სანოტარო ბიუროში წარმოადგინა განცხადება (რ/რN180315374) 2018 წლის 06 მარტს გარდაცვლილი არკადი ნინუას (დაბ. 28.09.1988წ თბილისი, პ/N01024051563) სამკვიდროს მიღების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენა სანოტარო ბიუროში ნიშნავს არკადი ნინუას (დაბ. 28.09.1988წ თბილისი, პ/N01024051563) შემდგომში „მამკვიდრებელი", სამკვიდროს მიღებას.

წინამდებარე მოწმობა არ წარმოადგენს სამკვიდრო მოწმობას, რომელიც გაიცემა მომავალში-მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის ვადის ამოწურვის შემდეგ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში. შესაბამისად ალექსანდრე ნინუას (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053) წინამდებარე მოწმობის პირველ პუნქტში მითითებული განცხადების სანოტარო ბიუროში წარმოდგენით არ შეუძენია მემკვიდრის უფლებები. მას აქვს მხოლოდ ის უფლებები, რაც მითითებულია წინამდებარე აქტის მომდევნო პუნქტებში.

ალექსანდრე ნინუას (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053) უფლება აქვს მართოს სამკვიდრო – სამკვიდრო მასაში შემავალი აქტივები/ქონებრივი და არაქონებრივი მატერიალური სიკეთე – ნივთები, მოთხოვნები და სხვა უფლებები/ და პასივები. შესაბამისად, სამკვიდროს მართვის ფარგლებში, ალექსანდრე ნინუა (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053) უფლებამოსილია წარმოადგინოს სამკვიდრო მასა ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლის მონაწილეც იყო მამკვიდრებელი.

სამკვიდროს მართვა გულისხმობს შემდეგი მოქმედებების განხორციელების უფლებას:
ა) სამკვიდროში შემავალი ქონების მოვლა–პატრონობა.
ბ) სამკვიდრო მასის დაცვა მესამე პირების ხელყოფისაგან.
გ) სამკვიდრო მასაში შემავალი ვადადამდგარი მოთხოვნების რეალიზაცია, მათ შორის ვადადამდგარი /მისაღები/ პენსიის, ხელფასისა და სხვა მსგავსი მოთხოვნების რეალიზაცია და ვალდებულებათა შესრულების მიღება /კერძო სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარიგებების, ან სასამართლოს/საარბიტრაჟო სასამართლოს აქტების, ან კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების შესაბამისი ვალდებულებების შესრულების მიღება/.
დ) სამკვიდრო მასაში შემავალი ვადადამდგარი ვალდებულების შესრულება /კომუნალური და სხვა სახის მომსახურების საფასურის გადახდა, გადასახადების გადახდა, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული გარიგებების, კანონმდებლობის, ან სასამართლოს აქტების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება.
ე) წარმომადგენლობა სასამართლოში /მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის სტატუსით ყველა იმ უფლებით, რაც კანონმდებლობის შესაბამისად აქვს შესაბამისი სტატუსის მქონე სუბიექტს, მათ შორის მორიგების, სასმართლოს ნებისმიერი აქტის გასაჩივრებისა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების, წარმომადგენლის დანიშვნის უფლებით/ ნებისმიერ დაწესებულებასთან, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოსთან ურთიერთობებში.
ვ) სამეწარმეო საზოგადოებების წილების/აქციების/მართვა გადამწყვეტი ხმის უფლებით.
ზ) განაბაჟოს საქონელი/ ნივთები, მათ შორის ავტომანქანა/რომელიც ეკუთვნოდა მამკვიდრებელს ან რომლის განბაჟების უფლებამოსილება/ან ვალდებულება/ჰქონდა მამკვიდრებელს.

ალექსანდრე ნინუას (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053) უფლება აქვს შეასრულოს სხვა მოქმედებები, რომლებიც არ არის მითითებული წინამდებარე მოწმობაში, მაგრამ მათი შესრულება განპირობებულია სამკვიდროს მართვის, დაცვის, შენარჩუნების აუცილებლობით.

ალექსანდრე ნინუა (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053) ვალდებული არის:
ა) სამკვიდრო მართოს კეთილსინდისიერად და ჯეროვანი გულისხმიერებით. მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანის გამო, რომელიც მიადგება სხვა მემკვიდრეს /მისი არსებობის შემთხვევაში/ სამკვიდროს არაჯეროვანი მართვით.
ბ) სამკვიდროს მართვის შესახებ დოკუმენტური ანგარიში წარუდგინოს სხვა მემკვიდრეს/მისი არსებობის შემთხვევაში/.

წინამდებარე მოწმობაში მითითებული უფლებამოსილებანი წყდება სამკვიდროზე სამკვირო მოწმობის გაცემისთანავე. წინამდებარე მოწმობა შედგენილია 2 (ორი) თანაბარძალისგან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მემკვიდრეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507) 18.6-ე მუხლის შესაბამისად – 10.00 (ათი) ლარი, აგრეთვე დღგ - 1.80 (ერთი და ოთხმოცი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის 1 ნაწილის "ა" პუნქტისა + 2.00 (ორი) ლარი 39.1-ე მუხლის შესაბამისად.

ნოტარიუსი:

/ქეთევან ბოჭორიშვილი/

სანოტარო მოქმედების ელექტრონული ბეჭედი

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180329323

რეგისტრაციის თარიღი

28.03.2018 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ბოჭორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მეორე სართული
ტელეფონი: 322307013 599220171

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ოცდარვა მარტს, მე, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მე-2 სართული, მომმართა ალექსანდრე ნინუამ და განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა სოფიო ჭელიძის სახელზე.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე ნინუამ (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, დები იმხნელების ქუჩა, N 2, ბინა 22) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა ალექსანდრე ნინუამ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ოცდარვა მარტს, მე, ალექსანდრე ნინუამ (დაბ. 16.04.1963წ თბილისი, პ/N01024036053, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, დები იმხნელების ქუჩა, N 2, ბინა 22) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ სოფიო ჭელიძეს (დაბ. 17.04.1986წ თბილისი, პ/N01017023399, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ოვანეს თუმანიანის ქუჩა, N 19) იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში, მერიის იურიდიულ სამსახურში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, რათა განახორციელოს ის უფლებამოსილება, რაც მონიჭებული მაქვს თანახმად საკუთრების მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობისა რ/რN180315596, დამოწმებული 26.03.2018წ ნოტარიუს ქ. ბოჭორიშვილის მიერ, მიიღოს მიშენების/მშენებლობის/ დაშენების ნებართვა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანება, მიშენებასთან/რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და სხვა) ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემი სახელით ზ/აღნიშნულ დაწესებულებებში შეიტანოს განცხადება/ცნობები/ნახაზები/პროექტი და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტაცია, ჩააბაროს დაზუსტებული აზომვითი ნახაზები/ ტექნიკური დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები, მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ეს მინდობილობა შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2019 წლის 28 მარტის ჩათვლით.

საკუთრების მიმნდობს წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ წინამდებარე მინდობილობა დადებულია სხვა გარიგების დასაფარად, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

2018 წლის 28 მარტი.

ეს მინდობილობა დამოწმებულია ჩემს, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილის მიერ, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი №9, მე-2 სართული.

სანოტარო აქტი ხელმოწერილია ჩემი თანდასწრებით. მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა და პირადობა შემოწმებულია.

გადახდილია სულ 13.80 (ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი, მათ შორის თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №507) მ. 31.7 - 10.00 (ათი) ლარი, აგრეთვე დღგ 1.80 (ერთი ლარი და 80 თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის 1 ნაწილის "ა" პუნქტისა. + მ. 39.1 - 2.00 ლარი.

საკუთრების მიმნდობმა პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და მოაწერა ხელი.

ალექსანდრე ნინუა

ნოტარიუსი: /ქ. ბოჭორიშვილი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
65920866272115

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N150612765

რეგისტრაციის თარიღი
12.06.2015 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ბოჭორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი N9, მეორე სართული
ტელეფონი: 322748212 599220171

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თხუთმეტი წლის თორმეტ ივნისს, მე, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ თბილისი, ნავთლუღის ჭიხი №9, II სართული, მომმართა ილდირაი კურტმა, როგორც შპს "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) დირექტორმა და 100%-იანი წილის დამფუძნებელმა პარტნიორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B15060197, მომზადების თარიღი: 20/04/2015 14:53:18) მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა მუჰსინ კურტის სახელზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე-ნამდვილად ილდირაი კურტმა (დაბ. 01.01.1983წ თურქეთი, პ/№ 01017041168, რეგისტრირებული: თბილისი კ.კეკელიძის ქ. 46ა) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა ილდირაი კურტმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თხუთმეტი წლის თორმეტ ივნისს, მე, ილდირაი კურტ (დაბ. 01.01.1983წ თურქეთი, პ/№ 01017041168, რეგისტრირებული: თბილისი კ.კეკელიძის ქ. 46ა) როგორც შპს "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) დირექტორი და 100%-იანი წილის დამფუძნებელი პარტნიორი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B15060197, მომზადების თარიღი: 20/04/2015 14:53:18) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ მუჰსინ კურტს (დაბ. 17.08.1962წ თურქეთი, პ/№ 01017034320, რეგისტრირებული: თბილისი კ.კეკელიძის ქ. 46ა) იყოს ჩემი როგორც "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) დამფუძნებელი პარტნიორის და დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

როგორც შპს "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) დამფუძნებელმა პარტნიორმა და 100%-ის მფლობელმა მიიღოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, მათ შორის შპს "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) სახელზე რიცხული ნებისმიერი უძრავი ქონების რეგისტრაციასა და გაყიდვასთან დაკავშირებით.

უფლებამოსილია, როგორც შპს-ს დირექტორმა ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/ ხელშეკრულებას. თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავის შეხედულებისამებრ. ზ/აღნიშნულ დაწესებულებებში შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია, ცნობები, გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტაცია.

აგრეთვე წარმომადგინოს საქართველოში არსებული სს „თი ბი სი" ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სათაო ოფისში მართოს და განკარგოს "იეს-მუს"-ის (ს/კ: 200269137) კუთვნილი ანგარიშები, განახორციელოს ნებისმიერი სახის საბანკო ტრანზაქცია (შეიტანოს და გამოიტანოს თანხა ანგარიშებიდან, მოახდინოს გადარიცხვა, კონვერტაცია, ასევე აიღოს ბანკომატის მიერ მითვისებული პლასტიკური ბარათი და გააააქტიუროს, პლასტიკური ბარათის დაკარგვის შემთხვევაში აიღოს ახალი და გააააქტიუროს და ა. შ), ისარგებლოს ბანკში არსებული ყველანაირი დისტანციური პროდუქციებით, ინტერნეტბანკით, მობილ ბანკით და სხვა, მიიღოს ცნობები და საბანკო ამონაწერი, აგრეთვე მიიღოს საბანკო დიჯი-პასი, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს/ხელშეკრულებას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან.

მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას/ხელშეკრულებას/კრების ოქმს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზ/აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

საკუთრების მიმნდობს წაუკითხე ეს მინდობილობა და განუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე:
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, პრომლის თანახმად, თუ წინამდებარე მინდობილობა დადებულია სხვა გარიგების დასაფარად, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

2015 წლის 12 ივნისი.

ეს მინდობილობა დამოწმებულია ჩემს, ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილის მიერ, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ჩიხი №9, II სართული. სანოტარო აქტი ხელმოწერილია ჩემი თანდასწრებით. მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა და პირადობა შემოწმებულია.

გადახდილია: თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №507) 31.7-ე მუხლის შესაბამისად - 20.00 (ოცი) ლარი, აგრეთვე დღგ – 3.60 (სამი ლარი და 60 თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის I ნაწილის "ა" პუნქტისა + 2.00 ლარი 39.1 –ე მუხლის შესაბამისად.

საკუთრების მიმნდობმა პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და მოაწერა ხელი.

ილდირაი კურტ ხელმოწერა

ნოტარიუსი: /ქეთევან ბოჭორიშვილი/